

ოკაიკიანი გარდაუვალი ვნახითი ვპაკის ზმნავის შორებათა  
ნაკრებათა თარგობით გორაკით

(შეგვითხებოდი თუ შეგვითხებიყავი?)

თურმეობით მეორეში ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნა სალა-  
ტერა ტურო ქართულში ორგვარი სახითაა წარმოდგენილი:

შეგვითხებოდი და შეგვითხებიყავ, შეგვითხებოდი და შეგვითხებიყავ, შე-  
გვითხებოდა და შეგვითხებიყო; დავსდგომოდი და დავსდგომიყავ, დავსდგომოდი და  
დასდგომიყავ, დასდგომოდა და დასდგომიყო; დავსჯდომოდი და დავსჯდომიყავ, დას-  
ჯდომოდი და დასჯდომიყავ, დასჯდომოდა და დასჯდომიყო; გავსჩენოდი და გავსჩე-  
ნიყავ, გასჩენოდი და გასჩენიყავ, გასჩენოდა და გასჩენიყო.

სალიტერატურო ქართულში ისტორიულად -ოდ არის გავრცელებული;  
ასე, მაგალითად, ჭერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ -ოდ სუფიქსიანი ფორმებია გა-  
ბატონებული:

სული დაიღეს, დაღუმდეს, ორთავე ცეცხლი ს დ ე ბ ო დ ა;

ასმათი შეჰყვა, შევიდა, მათებრ სახმილი ჰ გ ზ ე ბ ო დ ა;

დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლა მიწყვი ჰ გ ე ბ ო დ ა,

ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ იამებოდა (სტრაჟი 99, 1957 წლის  
გამოცემა).

-ოდ სუფიქსიანი ფორმებს აქვს უპირატესობა დ. გურამიშვილის ენაში.

ამჟამად -ოდით წარმოება გაბატონებულია სალიტერატურო ქართულში:  
„იყავ“-ით წარმოება სპორადულადღა გვხვდებოდა ძველადაც და ახლაც (მაგალ.,  
ვაჟა-ფშაველას, ილიას და ნ. ლომოურის ნაწერებში), ჩვეულებრივია -ოდ სუფიქ-  
სიანი წარმოება (მაგალითად: „რომ არ გ ც ო დ ნ ო დ ა, რომ ეგრე უნდა გამო-  
ყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა?“ — ილია, „მე რომ მაშინ წიგნი მ ც ო დ-  
ნ ო დ ა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყვდა“. — ილია).

-ოდით წარმოება საესეებით კანონიერია და გაბატონებულია თანამედროვე  
სალიტერატურო ქართულში; სალიტერატურო ქართულის ისტორიული ტრა-  
დიცია მას უჭერს მხარს, ამდენად, უნდა დარჩეს -ოდით წარმოება.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ერთი -ოდ სუფიქსიანი ფორმა: შეგვითხებოდი,  
შეგვითხებოდი, შეგვითხებოდა; დავსდგომოდი, დავსჯდომოდი, გავსჩენოდი, მოვ-  
ჰკვდომოდი... დასდგომოდი, დასჯდომოდი, გასჩენოდი, მოჰკვდომოდი... დასდგო-  
მოდა, დასჯდომოდა, გასჩენოდა, მოჰკვდომოდა და სხვა და არა: შეგვითხებიყავ,  
დავსდგომიყავ, დავსჯდომიყავ, გავსჩენიყავ, შეგვითხებიყავ, დასდგომიყავ, დასჯდო-  
მიყავ, გასჩენიყავ, შეგვითხებიყო, დასდგომიყო, დასჯდომიყო, გასჩენიყო და სხვ.